

ნეშომპალა-კარბონატული - kalkhaltige Rohhumusböden

ნეშომპალა-კარბონატული ნიადაგების ფართობი ქვეყნის ნიადაგების საერთო ფართობის 7.4 %-ს (500.300 ჰა-ს) შეადგენს. ეს ნიადაგები დართოდა გავრცელებული დასავლეთ საქართველოში-აფხაზეთში, სამეგრელოში, რაჭა-ლეჩხუმში და ზემო იმერეთში, აგრეთვე აღმოსავლეთ საქართველოში-მთიულეთში, სამხაბლოში, კახეთსა და ქართლში. ამ ნიადაგების არეალი ემთხვევა ისეთი ქანების არეალს, რომლებიც დიდი რაოდენობით შეიცავენ კალციუმის კარბონატებს (კირქვები, მარმარილოები, დოლომიტები, მერგელები და სხვ.). ნეშომპალა-კარბონატული ნიადაგები მთა-ტყის სარტყლის გარდა გავრცელებულია ტენიან და მშრალ სუბტროპიკულ ზონაში და მაღალმთიანეთში. პროფილს ჩვეულებრივ შემდეგი აგებულება აქვს: A0-A-AB-B-BC.

ეს ნიადაგებო ხასიათდება კარგად გამოხატული ჰუმუსოვანი ჰორიზონტით, ნეიტრალური ან სუსტად ტუტე რეაქციით, ჰუმუსის ზომიერი შემცველობით, ჰიგროსკოპული წყლის დაბალი შემცველობით, მოცულობითი წონით 1,16-1,32 ფარგლებში, თიხნარი ან თიხა მექანიკური შედგენილობით, შთანქმის საშუალო და მაღალი ტევადობით, მაძღრობით. ნიადაგები საშუალოდ უზრუნველყოფილია (0-10) და ღარიბია (10-20) ჰიდროლიზებადი აზოტით, ღარიბია შთანქმული ფოსფორით და საშუალოდ (0-10) უზრუნველყოფილია და ღარიბია (10-20) გაცვლითი კალიუმით. მცენარეული საფარის დარღვევის შემთხვევაში იზრდება ეროზიული პროცესების საშიშროება. დასავლეთ საქართველოში გაბინძურებულია რადიონუკლიდებით.

Das Gebiet der kalkhaltigen Rohhumusböden macht 5003qkm (7,4%) der georgischen Böden aus. Diese Böden sind weitverbreitet im Westteil von Georgien in Afkhazeti, Samegrelo, Racha-Lechkhumi und dem nördlichen Imeretien auch im Ostteil von Georgien in Mtiuleti, Samachablo, Kakhetien und Kartli. Das Auftreten dieser Böden fällt mit solchen Ausgangsgesteinen zusammen, die überwiegend aus Kalziumkarbonat (Kalkstein, Marmor, Mergel, Dolomit und anderen) bestehen. Kalkhaltige Rohhumusböden im Bergwald sind anzutreffen in der feuchten und trocknen subtropischen Zone, ebenso im Hochgebirge. Die Bodenprofile haben oft folgenden Aufbau: A0-A-AB-B BC. Die Böden sind charakterisiert durch einen gut ausgeprägten Humushorizont, eine neutrale oder alkalische Reaktion, einen mäßigen Gehalt an Humus, einen niedrigen Gehalt an hygroskopischem Wasser, eine Lagerungsdichte zwischen 1,16-1,32 g/ccm, eine lehmige oder tonige Textur, mäßige oder hohe Absorptionskapazität, gesättigt. Die Böden sind mittel versorgt (0-10cm) und arm versorgt (10-20cm) mit hydrolysierbarem Stickstoff, sind arm an mobilem Phosphor und mittel versorgt(0-10cm) und arm versorgt (10-20cm) mit austauschbarem Kalium. Im Falle einer Schädigung der Vegetationsdecke kommt es zur Zunahme der Erosion. Die Böden werden oft mit radioaktiven Nukleiden verunreinigt. .

